საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1359

16/09/2021

ქ. თბილისი

,,ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს N 2-787 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

,,ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს N2-787 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N81 (09.08.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მესტიის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს N 2-787 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე მესტიის და ლენტეხის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი